საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/265

ქ. ბათუმი 07 მაისი, 2019 წ.

,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 03 მაისის №01- 08/264 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 04 სექტემბრის №01-08/110 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტთათვის სტატუსის შეჩერების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2019 წლის 03 მაისის №01- 08/264 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   ,,1. 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობის გამო პირებს დანართი №1-ის შესაბამისად შეუჩერდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (**2019 წლის 4 მარტიდან**).''

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს. ბრძანება საჯარო გამოქვეყნების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**